


1946

№ 18. 1946 წ.  
გამომცემის წელი XXIII.  
ფანი 2 მან.

# ნიანგი

თბილისი.  
გამომცემლობა "ნიანგი"  
საბჭოთავი



ვერ გვიგო

ნახ. დონისა

- ყოჩალი კაცია ჩვენი გიორგი, ერთწლიანი საქმე სამ თვემდე დაიყვანა.
- სასამართლოში?
- სასამართლოში კი არა, ქარხანაში. წლიური გეგმა სამ თვეში შეასრულა.



ლონგინოზს ჯერ კიდევ ორი თვისას უმშვენიერბოდა ნიკაპს წვერი. ორი თვის ასაკისათვის წვერი უცნაურად რომ არ მოგეჩვენოთ, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ლონგინოზი თხას ერქვა. რაკი ამ თხის გამოხედვა ახლოაღმოსავლურ იერს ატარებდა, პატრონმა მას ფაშის „ხარისხიც“ უბოძა და ხუსტად ლონგინოზ-ფაშას უწოდებდა.

ლონგინოზ-ფაშა აზიზად იზრდებოდა პატრონის ოჯახში. ციკნის პატრონი გაბრიელ ბ. (უხერხულობის გამო გვარს მთლიანად არ ფასახელებ) პირუტყვის ფრიად მოყვარული კაცი გახლდათ და ლონგინოზის გაწვერთნა-პატივისცემას თავიდანვე შეუდგა.

დილას, როცა ლონგინოზი საკუთარი სწორძანებლიდან გამობაკუნდებოდა, გაბრიელი ნორჩ ნეკერს დაახვედრებდა, საამო საკნატუნებელს მალლა ასწევდა და ციკანს აღერსით მიმართავდა:

— ლონგინოზ-ფაშა, მეე...

— მეე... — ჩაიკიკინებდა ციკანი და თავს მალლა ასწევდა.

პატრონი უფრო ხევით აიტანდა ხოლმე ნეკერს და ნეტარხსენებული პირუტყვი სულ მალე ორ ფეხზე დადგომას დააჩვია.

მიწგანის გამგის აგრონომ გაბრიელის ეზო ამ შემთხვევის გამო, რასაკვირველია, ციკანს განყოფილებას არ დამგვანებია, მაგრამ მაინც საკმაოდ საინტერესო სანახაობის აღვიღს წარმოადგენდა.

როცა თხა ორ ფეხზე შედგომას დაეჩვია, გაბრიელმა ახალი ნომერი გამოიგონა: ნეკერს საკუთარი ხელით საკუთარ მხარზე გადაიტანდა და ხურგის მხარეს მოიქცევდა ხოლმე. თხაც ამ მხრიდან მოუფლიდა, წინა ფეხებს გაბრიელის ხურგზე შეაბოტებდა და ნეკერს მიიღებდა.

ციკანი მალე თხად გადაიქცა, და როცა პატრონს ლონგინოზ-ფაშასთან ლოლიობა მოსწყინდა, თხა კოლმეურნეობას მიაბარა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ასე უთხრა:

— სადაც სხვას შეინახავთ, ესეც იქ იყოს. ბალახი სასყიდელი არა გაქვთ, და მაინცდამაინც დიდი ხარჯი არ გექნებათ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაბრიელს უსიტყვოდ დასთანხმდა და ლონგინოზ-ფაშას ბიოგრაფიაში ახალი ერა დაიწყო.

ამის შემდეგ ყოველ დილას კოლმეურნეობის მწყემსი ფარიდან გამოარჩევდა ხოლმე ლონგინოზს და ნეკერის მაგიერ ახალ საჩუქარს მიართმევდა: სამჯერ ზედიზედ გადაუჭერდა სახრეს და იტყვოდა:

— ეს ლონგინოზს... ეს ფაშას... ესეც მიწგანის გამგეს!...

თხა საცოდავად აკიკინდებოდა ხოლმე, მაგრამ, რასაკვირველია, ნორჩ ნეკერს მაინც არავინ აწვდიდა.

ლონგინოზის გულს ასე ეკალივით ესობოდნენ უფერული დღეები. მაგრამ შეიჭოთ თუ არა პატრონმა, საცოდავ ლონგინოზ-ფაშას უსულოდ ლოდ ეკიდებოდა, ყოველდღე დაიწყო კოლმეურნეობის დათვლიერება-შემოწმება და ამ კონტროლის შედეგად ლონგინოზ-ფაშამ 6 კილო და ორი ციკანი მოიმატა. (მართალია, ლონგინოზ-ფაშა მამრობითი სქესისა გახლდათ, მაგრამ მიწგანის გამგის ხათრით რა არ გაკეთდება!).

ასე გავიდა ექვსი თვე, და აი რა მოხდა:

დილაადრიან, როცა ფარა სადგომიდან გამოიშალა, ლონგინოზ-ფაშამ დაინახა, რომ მისი პატრონი გილაც სხვა კაცთან ერთად მობრძანებულა.

ლონგინოზმა სიხარულისაგან გულის ამჩუყებელი პეტელი მორთო და პატრონისაკენ გაეჭანა. გაბრიელს არავითარი ნეკერი არ სჭერია ხელში, მაგრამ ლონგინოზ-ფაშამ მაინც მიიბრინა მასთან. შეამჩნია თუ არა პატრონმა თხა, ცდილობდა სიტყვა „მე“ არ წამოსცდენოდა და ასე ლაპარაკობდა:

— ჩვენ გარკვეულ მალალ დონეს მივალწვიეთ... ჩვენ განსაკუთრებულ ხელმძღვანელობას ვუწვევთ...

ლონგინოზ-ფაშას სრულიად არ უგდია ყური პატრონისათვის. მიიბრინა მასთან, „მეე“ დაიკიკინა და ჯერ წინიდან შეებოტა პატრონს, მერე ხურგიდან მოუარა და იგივე გაიმეორა.

„ვაიმე მიშველეთო“, შეჭკიცლა გაბრიელმა და ათი ნაბიჯით იცვალა ადგილი. თხა პატრონს გამოეკიდა, მაგრამ მწყემსმა დაიჭირა და ცემა-ტყვიით შეაგლო ფარებსში.

ლონგინოზ-ფაშას ძალიან გაუვირდა ეს ამბავი, და მისი გაკვირვების მიზეზი რომ საიდუმლოდ არ დარჩეს, აგისხნით საქმის ვითარებას:

გაბრიელთან ერთად ჩამოსული კაცი თბილისიდან იყო მოვლინებული შემოწმებაზე. გაბრიელს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო იმის გამომკვლავება, რომ კოლმეურნეობა თხას უნახავდა და ლონგინოზ-ფაშას ნაცნობობაზე უარი თქვა.

უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ლონგინოზ-ფაშა იმით დასიჯეს, რომ გაუსამართლებლად მოკვეთეს თავი და ერთ საათში შესანიშნავი პურმარილი გაეწყო.

ლონგინოზის უიღბლო ბიოგრაფიაში კიდევ ის უნდა აღინშნოს, რომ მისი მწვადების ჭამას თბილისიდან მოვლინებული ამხანაგი არ დასწრებია.


საწყალ ლონგინოზ-ფაშას „ფაშის“ წოდება რომ ხელს არ უშლიდეს, ვიტყვოდი, ღმერთმა აცხონოს-მეთქი, მაგრამ ახლა იმისი ჯვარი აღარავისა აქვს, რადგან მისი პატრონს გაბრიელსაც კარგი დღე არ დაადგა.

გ. ივანიშვილი

## შვეციის თავზე

ორ თვეზე მეტია, რაც უცხოეთის პრესა ავრცელებს უსაფუძვლო კორს, თითქოს შვეციაში ჩავარდნილიყოს მფრინავი რაკეტა, რომელიც გასრულილია საბჭოთა კავშირიდან.

ნახ. დონისა



— ცოტა ფრთხილად, ძმობალო, ბუმბული არ ჩაივარდეს, თორემ მაგ ბუმბულისაგან ხელად ყუმბარას გააკეთებენ...

„...ბეჭე კოლმეურნეობაში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნებით კოლმეურნეობის ურომაღლეების სარჯზე ინახავენ ისეთ პირობას, რომლებიც კოლმეურნეობაში არ მუშაობენ და რომლებსაც საკოლმეურნეო წარმოებასთან არაპირთარი დამოკიდებულება არა აქვთ...“

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქავშირო კ. ვ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

საქართველო  
ნიგურიტეკი

## ახალი ახსნა

## ხელიან გააბეგინეს

ნახ. ღონისა



— ხედავ ამ ჩვენი რაიონის აგრონომს? თვეში ერთხელ გამოჩნდება და კოლმეურნეობის თაფლში კი აქვს ხელი.

— აგრე რომ იყოს, რა უჭირს, სამ თვეში ერთხელ ჩნდება და მთელი კოლმეურნეობის თაფლი აქვს ხელში.

— გაიგე, ჩვენი კოლმეურნეობის კოტა ხარს რა დამართა? თურქული შეხვდა.

— მერე, ვეტექიმა რა ჰქნა?

— იმას უარესი დამართა. უკანონოდ დაწერილი რვაასი შრომადლიდან აღარც ერთი არ შეხვდა.

## „შემოწმება“

აღმასკომის თავმჯდომარეს ერთ-ერთ ჩვენი სოფლის, ვით საქმის კაცს ზურგი მუდამ სველი ჰქონდა ოფლით.

დილით ცხენზე შეჯდებოდა, ჩაივლიდა შარას, აღმასკომში შეივლიდა, ცხენს მისცემდა ჩალას,

სხვებს პირველი არასოდეს არ აძლევდა სალამს, კაბინეტში შეამჩნევდით ჟანგმოღებულ კალამს.

სამსახურს რომ დახედავდა, მოუხმობდა მდივანს და ეტყოდა:—თუ მაკითხონ, აგერ ახლოს მივალ.

მუშაობას ამოწმებს-თქო, ასე უთხარ ყველას. ცხენით სადაც წავიდოდა, ღიღინებდა ნელა.

დადიოდა, „ამოწმებდა“ კოლექტივის დოვლათს, კითხულობდა წლიურ გეგმას, ბალ-ვენანის მოვლას.

თავმჯდომარეს ჩაუკრავდა: ცხოვრება გაქვს ტკბილი, ტომრებში ხომ ჩამიყარე თეთრი პურის ფქვილი?

წვლან ღორთან დავინახე მე თოთხმეტი გოჭი, ღორს თორმეტი ძუძუ აქვს და ორს კი—ტანად მორჩილს,

ურძლებით რომ არ მოკვდეს—დროზე უნდა შევლა. ნამატისთვის მე ვიზრუნებ, გავზრდი ნელა-ნელა.

ზამთრამდე კი, სიცოცხლე მაქვს, გავზრდი დიდს და ზორბას, საწყობში ხომ არ მოაკლეს ჩემს ქერსა და ხორბალს?

შედავთი გაგივრცელე ძმურად, გეტყვი მართალს, გაბატიებ, არ წავიყვან კვერცხისმდებელ ქათამს.

ყვინჩილა და ვარიკები იყოს, რა ვქნა ახლა, ხვალ სალამოს გამოგზავნე, ახლა არ ღირს დადლა.

რაო? როგორ გაატარო? არ გრცხვინია, კაცო? მაგას მკადრებ მთლად უფროსს და შენს მწყალობელ ნაცნობს?—

იტყოდა და დიდკაცურად შეჯდებოდა ცხენზე, შესძახებდა:—ბევრს გაბატიებ, სხვაც ბევრია შენზე. —

ორლობებს აყვებოდა, გადივლიდა გორაკს, გეგმიანად აგროვებდა ცნობის ნაკვლად ხორბავს.

მაგრამ როცა „შემოწმებლის“ შემოწმება მოხდა, ამ თავგასულ დამტაცებელს საკადრისად მოხვდა.

ახლა ზის და სევდით უქქერს მისთვის უცნობ კედლებს, სიზმრად ხედავს ყვინჩილებს და თავქოჩორა დედლებს.

როცა სიტყვა „შემოწმება“ თვალზე მოჰგვრის ცრემლებს, იტყვის:—მეტი მოგვიხდება ასეთ შემოწმებლებს.

## ახალი აღრიცხვაში

ნახ. ა. კანდელაკისა



— ვინ არის ეგ ტინგიცა, ჩვენს კოლმეურნეობაში მუშაობს? რამდენი შრომადლე გამოიმუშავა?

— საბჭოს თავმჯდომარისა განლავს, მუშაობისა რა მოგახსენო და ექვსასი ჰამადლე კი გამოიმუშავა.

...კოლმურეობაში ზაღად და მოკრძოლი თანადამოგობაზე ხორკლავალიანა ზაზღუფავი და მშობასრები. გო. ლევიც საჩაჩი რუშარაკა ზაუტბინ. კოლმურეობათა დაბრუნებას ნთქაპინ და იმ კოლმურეობათა შორისა დღეების ხარჯში ცოკრკონან. ლევიც მინდვარ ჰუშარაკინ ან პირუტყვა უშლიან. ხს კავშირის მინდობათა საბაოს და საპაური კ. ბ) ანთაბაური კომიხთის დადამინდობინ



თქმა და შინაარსი

ნახ. ი. ბევაშვილისა



— ჩვენს თავმჯდომარეს მიწა გაუნაგებია. ცოლსწამება, მიწა კი არ გაანაგა, სხვაზე ვასცა, უშედეგ ამ ხერხით მოწყულთ ზორბალი გაანაგა და საკუთარ ბედელში ჩაყარა.

სახალწოლს მიხედვით

ნახ. ლონისა



კოლმურეობაში ახლნი შრომადი გაიღანება, ნთავი რას აკეთებდა ჩვენივესო კომიხია! უნდა შენი მივიჩინებო, თუ თვითონ სარკვევითა, ხსვას რა ჩვენიზა უნდა გოხში!

გაბიას განმარტებით

ნახ. ლონისა  
გეორგიული  
გიორგიისა



— ეს კაცი ჩვენი მიწანია? — არა, მიწის განყოფილებაზე სულაც არ უფიქრია, მავან კოლმურეობის გოტები და ზირბალი მითივსა.

ცოვავა უნია

ნახ. კალაძისა



— ჩვენი დალაქი კაფა შე-წუხა. — წვერს იპარხავს? — არა, ნაკაფი შრომადღეება ჩაპოწერეს.

ბაკათი ნიანხს

პატილო ნიანხო


უსათუოდ გაგვეგონებათ ზეოთხფხა ფრთიანი გვირის, ჯადოსნური შერის ამბავი, ასეთი მერხალი თავის გვირს ხან ქვესწელში ჩააგებებს ხოლმე, ხან ზესტენიში რღებს. თვენი აზრით, პატრიცულეო ნიანხო, რა უნდა ღირდეს ასეთი მისხის გაცემა, დაბლობითი წარმოუსათუოდ ვაგვირდებათ ამ კოლმურეობის ღირებულებაზე, უნდა გიამოთ დგინი რომ მაინც გკონდეთ ასეთი კოლმურეობის თავმჯდომარის შაბურსოფ. კონტროლის (დღეშეობის) რიგისი საქციელის შესახებ, მწიფა ერთი მერხის შვიდია, რომელსაც ქვესწელის გზა იციხს. არ იციხავთ, რა ვაღიბდა ასეთ მოკვლევ ფეკოპანანის ფასი—1 ტონა იანგარიზა ცხენში მიტეულია, ამდენ რატომ მიეცი უბრალო პატრიცულეო ნიანხო, თითონ თუ გამოკვლევდი იყო, კრებს, მაშინ ხომ უფროთ მერხისათვის კოლმურეობის ამდენ ქონებას ფრთები იღარ გამოისტე

აქ ნიანხო! ქეთის დიადი მოყვარეობის თავმჯდომარე ბურჯუკური შურ შარლისათვის. ერთხელ მისავლის აღება, ბურჯუკურმა ქეთი მოეწყო და იციო რა დღეა და უამრავი ღვინო, მისი ანახავი ნიანხო, მავარამ ვუქონების ფლნგვაზე ზღლის აღ

ორი სიხსუარი

გამოიცნო

ნახ. ლონისა



— ვერ ვამიგია, რაშია საქმე; საკაფუბულო ხენა აი დღეში დავამთავრეო, ხოლო საწმელეგომო—ზუომეტი დღეა გრძელდება. — იმიტომ, ჩემო ნიშა, რომ ჩვენს კოლმურეობას უცანონოდ დატაცებულთ ში ბექტარი მიწა დაუბრუნდა.



სახელი—სპირიდონ, გვარი—კაჭახიძე, წლოვანება—47, პროფესია—რესტორანის გამგე, ოჯახური მდგომარეობა—1 ცოლი და 7 შვილი, მალა—დილით შემწვარი წიწილი და ერთი ლიტრი კარდანახული 0,8 კილო ქართულ პურთან ერთად, სადილად და ვახშმად. ზუსტად ვერ ვიტყვი, ხან სად ვკვიდობ და ხან სად. სუბიექტური პროფნოზები—უმაღობა, ქეიფის შემდეგ დილით ხანდახან თავის ტკივილი, როცა ლუღსა ვსვამთ ბიჭები, მეწყება თირკმელების მწვავე ტკივილები.

აი, ეს ანკეტა შემავსებინა ექიმმა, როდესაც ჩემმა მეუღლემ გამოიძახა იგი იმ ორშაბათ დილას, რომლის წინაც ორი დღე ზედიზედ ვიქეიფე. ექიმმა, რომელსაც ორი სათვალე ეკეთა და რომელიც სისუსტისა თუ დაღლილობისაგან ძლივს სუნთქავდა, გ-მსინჯა, ე. ი. მე მინდა ვთქვა ბეჭებზე სასინჯი მილი დამადო და გამარჯვებულის კილოთი თქვა:—„შამციგენება“.

ეს გახლდათ დიაგნოზი. მერე რეცეპტის წირას შეუდგა. მე კი შესავსებდ მონაცა აი ის საბედისწერო ანკეტა, რომელსაც ზემოთ გავცანით და რომლის ბოლო კითხვამაც დამლუბა, ნამდვილად დამლუბა. საქმე ისაა, რომ, როცა წასასვლელად მოემზადა ექიმი, მხოლოდ მაშინ დახედა ანკეტას და რაკი სათვალე უკვე ბუდეში ჰქონდა ჩადებული, ამოღება დაეხარა, მთელი ქაღალდის წასაკითხად თვალეებს აღარ დაატანა ძალა და მხოლოდ ბოლო კითხვას დააკვირდა.

— ჰმ! ჰმ!—რამდენჯერუე გაიმეორა მან,—საქმე სერიოზულია, თქვენ შაქრის ავადმყოფობის ნიშნები გაქვთ.—ამის გავგონებაზე თვალთ დამიბზელდა—არ მახსოვს, შემდეგ რა მოხდა. გონს რომ მოვედი, ჩურჩული მომესმა. ოთახი საცხე იყო ჩემი ბუხჩალტრობითა და ოფიციატებით.

საჭირო იყო ანალიზის გაკეთება... ჩემმა ფეხმარდმა ოფიციატმა გაარბენინა ბოთლი ლაბორატორიაში და ნახევარი საათის შემდეგ ქეთარი მომიტანა. პასუხი ხვალ იქნებაო.

მეორე დღეს ჩემი დაქინებული მოთხოვნის შემდეგ მართლაც წავედი პოლიკლინიკაში. ლაბორატორიის პატარა სარკმელში შევიხედე შეზინებული თვალეებით და ქეთარი გადავაწოდე ახალგაზრდა ქალს, რომელიც სარკეში თმას ისწორებდა და მღეროდა: „სიყვარულო, ძალსა შენსა...“ მან უგულოდ გამომართვა ქეთარი, ერთი დაამთქნარა, თმაზე ხელი გადაისვა... და მაგიდაზე დაგროვილი ქაღალდებიდან ერთი გამოარჩია, ორი თითით მომაწოდა, კვლავ დაამთქნარა და განაგრძო: „ვინ არის რომ არ მონებდეს...“ დერეფანში ბზელოდა და მეც კარისაკენ გავიქეცი, დავხედე ქაღალდს, „დესპინე კუჭუხიძის ანალიზი“—ეწერა. უკანვე მივირბინე და ავუხსენი საქმის მდგომარეობა. ახალგაზრდა ქალმა დაცინვით გადაომხედა, ნახშირით წაგროძელებული წარბი ზეასწია და მომახალა: „ქალაქში ცხოვრობთ და მეტი არ გესმით, აბა რა განსხვავებაა დესპინე კუჭუხიძესა და სპირიდონ კაჭახიძეს შორის, ასეთი შეცდომა ყოველთვის შეიძლება მოხდეს. აქ დღეში ასობით კაცი მოდის, უნდა გრცხვენოდეს, რომ... მაგრამ მე საჩქაროდ მოვშორდი, რადგან მართლაც შემრცხვა.

ნამდვილად, უბრალოდ შეეშალათ წერის დროს, მითხრებოდა, რომ წლოვანება 47 სწორად იყო ნახევნი. გამოვიქეცი, ექიმს მივუტანე ანალიზის ქაღალდი. მან ხელის კანკალით ჩამომართვა. სათვალე კარგად მოიკრია და ჩამაშტერდა. კითხვის დროს რამდენჯერმე გაიმეორა. „ჰმ! ჰმ!“ მერე გამარჯვებული კაცის სახით გადმოხედა და თქვა:

— აკი გითხარით! ჩემი პროფნოზები ყოველთვის მართლდება. თქვენ შაქრის ავადმყოფობა გაქვთ. არ შეგეშინდეთ, ახლავე სპეციალისტთან მიგიწერთ.— „სპეციალისტმა“ ქაღალდი გამომართვა, გადაკითხა, მხიარულად გადმოხედა, მხარზე ხელი დამკრა და რიბინად მითხრა: ნუ გეშინია, შე კაცო, შენისთანები მომრჩენია! ავერ ჩვენი დესპინე, კვდებოდა ქალი, დღეს კი ერთი მისხალი შაქარიც არ აღმოაჩნდა! თუ კარგად დაიცავ დიეტას, შენც ერთი მისხალი შაქარზე შემწვარ-მობრაკულები რამდენიც გინდა, ნუ გეშინია, ახლა წადი შინ, ნუ იღვლეებ, ნუ ინერვიულებ. დღეში 50 გრამი შავი პური ჰკამე, წყალი არ დალიო და ღვინო, არც ლუდი. მეტი რა გინდა, ფული დაგეზოგება, შეინახე და რომ მორჩები, მერე ვიქეიფოთ იმ ფულით, ჰო, სადმე დასასვენებლად თუ წახვალ, კიდევ უკეთესი.

ბარბაცით მოვედი სახლში. ჰამა ხომ აღარ შეიძლებოდა თურმე, მაგრამ არც მალა მქონდა. მეორე დღესვე განცხადება შევიტანე და სამსახურს თავი გავანებე. მალე აბასთუმანში წავედი. ასე მირჩიეს: რაკი ჰამის ნება არა გაქვს, ჯანსაღი ჰაერით მაინც იკვებე, თორემ დასუსტდებიო. ისე თქვენი მტერი განდეს, მე იქ დავსუსტიდი და გაქერი კაცი.

შემოდგომაზე აბასთუმნიდან დაებრუნდი და ჩემს ექიმს მივმართე.

— ჰა, გასუქებულხარ, შე კაცო,—მომმართა მან. ალბათ, ვინმეში თუ ავე-რიე, ანდა იქნებ ისე თქვა უბრალოდ, როგორც ხშირად იციან ხოლმე ჩვენში, თორემ თქვენი მტერი და დამაწყვეარი გასუქდეს ისე, როგორც იქ მე გაგსუქდი.

— აბა, ახლა ანალიზი გამიკეთე!—თქვა ბოლოს ექიმმა და ლაბორატორიაში მიმართვის ქაღალდი მომცა.

მეორე დღეს პასუხისათვის მივედი. იმავე ახალგაზრდა ქალმა ისევე ორი თითით უღარდელად მომაწოდა ქაღალდი და კვლავ განაგრძო: „ვინ არის, რომ არ მონებდეს...“


ამჯერად სახელსა და გვარში არ იყო შეცდომა. წლოვანება 47-ის ნაცვლად 17 ეწერა, მაგრამ ეს სასაცილოდ უმნიშვნელო შეცდომაა. ანალიზს დავხედე. იმ კითხვას, სადაც წერია „შაქარი“—მიწერილი ჰქონდა „არ აღმოჩნდა“. თვალეებს არ დავუჯერე, ნუ თუ მოვრიხ! ნუთუ მეც მეშველა იმ დესპინესავით!

აღარ მახსოვს მივფრინდი, თუ ფეხით მივედი ექიმის კაბინეტთან. რიგი იყო და მომთხოვეს დამეცადა. ექვე სკამზე ჩამოვჯექი და ახალი გახეთი გავშალე. გადავთვალეინე და ჩემი ჩვეულების მიხედვით გარდაცვლილთა გვარებს დავხედე, „დესპინე კუჭუხიძე“—ეწერა შავი ასოებით. თვალთ დამიბზელდა. უცებ ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის: საბრალო დესპინე კუჭუხიძე მსწვერპლი გახდა ამ უბრალო შეცდომის.

ს ე რ მ ო ხ რ ე ?

(გამოცანა კაირონებისათვის)

ნახ. ი. ბეჟაშვილისა



— ჩვენმა ღირექტორმა სწავლის დამთავრებისას ხომ თქვა: წელს აუცილებლად სკოლისათვის მასალას გამოვიტან და რემონტი უნდა გავაკეთოო.  
— ჰო და გააკეთა კიდევ... თავისი სახლის რემონტი.



სკოლის დირექტორი — წელს ცოცხალი მოწმეების დიდი რაოდენობა დამიდასტურებს, რომ რემონტი წარმატებით ჩავატარე.

### სამგაჰრიის სასჯუმი

ცხრა წელიწადს ვაშენებდნენ, ხუთწლეულებში გშობეს, გზარდეს და რად გიკვირს, ჩემო კარგო, ყველა ჩვენგანს რომ უყვარდე?

ვინ ჩაგივლის ნეტავ ისე, რომ არ დარჩეს შენზე თვალი! გარედან რომ დაგინახავ, განა მახსოვს მაშინ თავი?

ჩუქურთმებში ჩამჯდარი ხარ, ვეღარ ვძლები შენი ცქერით! ოდეს შიგნით გინახულვებ, აღარა ვარ გულის ძგერით.

ტახტს დავხედავ, შევწუხდები, დამაღონებს ზეწურის ფერი, თუ წამცდა და დავამოქნარე კორიანტელს აჩენს მტვერი.

წუთით მაინც წამოვწევი მხარ-თქობზე თავწამოხრით, მოყიალე ბაღლინჯოებს თვალს ვადევნებ ამოხივრით.

იერიშზე წამოვლენ და ჯოგად ჩემსკენ იწევიან, მე კი ამათ გადამკიდეს ძილი აღარ მიწერია.

როცა ღონეს წამართმევენ და მიქცევენ სიგრძეს განად, კარს ვეცემი, გავიჭრები, ვხეტიალობ მთად და ბარად.

მამანელი გუიკი

### ჩვენი ფოსტა

მეთევზე (სოხუმი) — როგორც გვატყობინებთ, დასავლეთ საქართველოს ჩაის რაიონებში თევზები საგანგაშო მდგომარეობაში ჩაგარდნილან. მათ ძალიან ბევრი ჰქონიათ სათქმელი, მაგრამ პირი რომ მარტო წყლით ჰქონდეთ საესე, კიდევ რა უშავდათ, როგორმე საჩივარს მოახერხებდნენ! უბედურება ისაა, რომ პირი საწამლავეთ ჰქონიათ საესე.

„ჩაის ბეჩქის სამკურნალო არის შხამი „ციაშლაგი“ თუ ჩაისთვის წამალია თევზებისთვის საწამლაგი, მალე ჩვენში არ იქნება აღარც წვერა, აღარც ღლაგი!“

გეთანხმებით, რომ თევზობის ასეთი ბარბაროსული საშუალება ჩაის რაიონებში გადაგვარებას უქადის არა მარტო წვერასა და ღლაგს, არამედ მკაცრ სასჯელს უქადის მათაც, ვინც „ციაშლაგს“ არიგებს

ასეთი მიზნით და ვინც ასეთი „მეთევზეების“ წინააღმდეგ სათანადო ზომებს არ ღებულობს.

დამსვენებელს (ქობულეთი) — თქვენთან ერთად ჩვენც ვიწონებთ ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის მხრუნველობას დამსვენებელთა ფიზიკური გაჯანსაღებისათვის. კავშირგაბმულობის ებოს წინ აღმასკომს ფართო თბრილი გაუჭრია; ამით აღმასკომი ორ კურდღელს იჭერს: ჯერ ერთი — კ. გაბმულობის შენობის წინ წყლის გუბე აღარ დადგება და მეორეც — ქობულეთელ დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ ფოსტაში მისვლისას მაინც შეასრულონ სპორტული ვარჯიშობა — ფართო თბრილზე ხტომა.

ალბის (ხუგდიდი) — ვუთანაგობობთ ქ. ხუგდიდის ლენინის ქუჩის მცხოვრებთ, თუ მათ ჯერ კიდევ 1941 წელს მართლა შეაგროვეს ფული ელექტროგაყვანილობის გასაკეთებლად და დღემდე ასეთი არ აქვთ.

ვფიქრობთ, რაიონის ხელმძღვანელები გამოარკვევენ ამ საქმეოდ დიდი თანხის ასავალ-დასავალს და ნათელს მოჰფენენ თუ ლენინის ქუჩას არა, ამ ბნელ საქმეს მაინც.

46-139



- საკვირველია, ჩვენი სოფლის აღმასრულებელმა ის მაკე ღორი გუშინწინ წაიყვანა კოლქეურნეობიდან და ახლა უკანვე მოჰყავს.
- სასოფლო-სამეურნეო წესდების დარღვევათა ლიკვიდაციამ ჩააფიქრა. ეშინია, მუცელს არ გადაჰყვეს.
- ღორი?
- ღორი კი არა, აღმასრულებელი.

სარედაქციო კოლმეობა: ი. გრიზაშვილი, ა. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწ. დასაბ, 1946 წ. 30/X ლ. ა. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. №28 გამოც. №91 შუკ. № 1450. ტირ. 7500 უე 10815